სარეგისტრაციო კოდი
270.070.000.35.162.000.508

# ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №12

## 2010 წლის 13 აგვისტო

## ქ. ახმეტა

## ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სახელფასო სარგოების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 8 ივლისის №481 ბრძანებულების ,,ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სახელფასო სარგოები, თანდართული დანართის სახით.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სახელფასო სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 25 თებერვლის №9 დადგენილება.
3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ა. მაილაშვილი**

*ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 13 აგვისტოს №12 დადგენილების „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სახელფასო სარგოების დამტკიცების შესახებ“ დანართი*

## ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სახელფასო სარგოები

| № | თანამდებობის დასახელება | თანამდებობრივი სარგო |
|---|---|---|
| 1 | საკრებულოს თავმჯდომარე | 2360 ლარი |
| 2 | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე | 1100 ლარი |
| 3 | კომისიის თავმჯდომარე | 650 ლარი |
| 4 | ფრაქციის თავმჯდომარე | 650 ლარი |
| 5 | აპარატის უფროსი | 700 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| 6 | საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე | 450 ლარი |
| 7 | მთავარი სპეციალისტი | 420 ლარი |
| 8 | სპეციალისტი | 320 ლარი |